პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 26 დეკემბერი № 297 (17642) ☐ ფასი 2 კაპ.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲒᲐᲕᲘ

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲨᲐᲚᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის სასტუმრო, მეურნეობისა და ხობის მეღორეობის საწარმოო გაერთიანების მეცხოველეები გულდასმით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, რომელიც ერთხმად მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და მიიღეს შესაბამისი დადგენილება;

ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებთან დაკავშირებით ახალ ვალდებულებებს კისრულობენ:

ᲖᲔᲛᲝᲐᲚᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ:

მეცხვარეობის დარგში: კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად წლის ბოლომდე შევინარჩუნებთ საგეგმო 43.000 სულ ცხვარს. გაზაფხულზე 1 სულ ცხვარზე გავპარსავთ 1,2 კილოგრამ მატყლს, ნაცვლად საგეგმო 1,1 კილოგრამისა. ყოველ 100 ნერგზე მივიღებთ და შევინარჩუნებთ 84 ბატკანს, ნაცვლად 83 სულისა.

მეღორეობის დარგში: მეღორეობის № 1 ბრიგადა, რომელსაც ნ. პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს, 1979 წლის მაისიდან მუშაობს მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში. 25 დეკემბრისათვის მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით უზრუნველყო აგრეთვე მეღორეობის № 2 ბრიგადამ (ბრიგადირი — მ. ყიზილაშვილი), რომელმაც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 9.990 სულის ნაცვლად უკვე მიიღო და გამოზარდა 10283 სული გოჭი.

წლის ბოლოსათვის ღორის საერთო სულადობას საგეგმო 4.000-ის ნაცვლად გავზრდით 4.300 სულამდე. ვიყოლიებთ 365 ნეზვს და თითოეულზე საგეგმო 15-ის ნაცვლად მივიღებთ და შევინარჩუნებთ 19 გოჭს. ღორის მოვლა-პატრონობისა და კვების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებით ერთი სულის საშუალო სადღეღამისო წონამატება გაიზრდება 380 გრამამდე საგეგმო 295 გრამის ნაცვლად. ღორის ხორცის წარმოებას გეგმით გათვალისწინებული 270 ტონის ნაცვლად გავზრდით 300 ტონამდე. ერთი ცენტნერი ღორის ხორცის წარმოებაზე 10,5-ის ნაცვლად დავხარჯავთ საშუალოდ 8 ც საკვებ ერთეულს.

მსხვილფეხა პირუტყვი: საგეგმოსთან შედარებით გავზრდით სულადობას. ერთი ფურის საშუალო წველადობას საგეგმო 1.850-ის ნაცვლად გავადიდებთ 1.900 კილოგრამამდე, განვახორციელებთ ღონისძიებებს რძის წველისას საჭირო ზოოჰიგიენური პირობების დასაცავად, რითაც სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პირველი ხარისხის რძის ხვედრით წილს 75 პროცენტამდე გავზრდით. ყოველ 100 ფურზე 82 — ხბოს ნაცვლად მივიღებთ და გამოვზრდით 83,5-ს. 1980 წლის თებერვლიდან უზრუნველვყოფთ პირუტყვის ინტენსიურ სუქებას და სადღეღამისო წონამატებას გავადიდებთ 500 გრამამდე, ამით 290-300 კილოგრამამდე გავზრდით სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონას, რომელთა 20-25 პროცენტი იქნება მაღალი ნასუქობისა, სულ ი საგეგმო 182 ტონის ნაცვლად ვაწარმოებთ 200 ტონა საქონლის ხორცს.

ᲮᲝᲒᲔᲚᲔᲑᲘ:

ᲮᲝᲒᲑᲘᲡ მეღორეობის საწარმოო გაერთიანების მეცხოველეები დროულად მოვემზადეთ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. კარგად იმუშავეს გაერთიანების საკვებმომპოვებლებმა, დამზადდა 2.910 ტონა სილოსი, 2.050 ტონა სენაჟი, 1.588 ტონა თივა და ჩალა, წარმოებულია 3.100 ტონა სიმინდისა და სოიის მარცვალი.

მეცხოველეობის ფერმებში მომზადებულია ბინები. შეკეთდა ფერმების მანქანა-დანადგარები, წყალი ყველგან საკმარისი გვაქვს. იმქამად პირუტყვი მთლიანად გადაყვანილია ბაგურ კვებაზე.

გაერთიანებაში გამოზამთრების პერიოდში 1979 წლის 1 დეკემბრიდან 1980 წლის 1 მაისამდე მივიღებთ 250 ტონა რძეს. წარმოებული რძის 90 პროცენტი მიეყიდება სახელმწიფოს. ერთი სრულფასიანი ძროხის საშუალო წელადობას შარშანდელთან შედარებით 129 კილოგრამით გავზრდით. მივიღებთ 242 სულ ხბოს, გამოვაზამთრებთ 1.000 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს. შარშან ზამთარში გაწყდა 3 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, რაც წლიულს ოთარ განმეორდება. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადღეღამისო წონამატებას გავზრდით 350 გრამამდე.

სახელმწიფოს ჩავაბარებთ 400 ტონა ხორცს. შარშან მხოლოდ 285 ტონა ჩავაბარეთ. ზამთარში ღორის სადღეღამისო წონას 400 გრამამდე გავადიდებთ.

გაერთიანების - მეცხოველეები ყველაფერს იღონებენ, რათა წარმატებით გამოაზამთრონ პირუტყვი და შეინარჩუნონ მაღალი პროდუქტიულობა.

ᲕᲘᲛᲠᲝᲛᲝᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲐᲓ, ᲕᲘᲛᲠᲝᲛᲝᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲐᲓ!

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲗ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲔᲚᲘ

575 ᲐᲗᲐᲡᲘ მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა განვლილ თერთმეტ თვეში საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ კოლექტივმა.

ამ გაერთიანების ფართო მოხმარების საგნების საამქროს მუშაკებს შორის კარგი ავტორიტეტი აქვს ახალგაზრდა ამწყობ ზეინკალს, კომკავშირელ ზოია ჯიოშვილს. მან ჯერ კიდევ 24 ნოემბერს შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა.

ახლა მოწონავე ზეინკალი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და დღითი დღე ზრდის შრომის ტემპს.

სურათზე: ზოია ჯიოშვილი.

ხ. კილაძის ფოტო.

ᲤᲔᲠᲛᲐ, ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ, ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ...

ᲕᲐᲜ დარჩა ბუნების ჭირვეულობასთან მიწათმოქმედთა თავგამოსაჩენი, თავმოსაწონებელი შერკინება. საქართველოს სოფლის მშრომელი საჭირნახულო ლაშქრობაში გამარჯვებული, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის აულთბილი მოლოცვით გამხნევებული და შთაგონებული ეგებება ახალ წელს, მეათე ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელს.

ამ დიდ გამარჯვებასა და ჭეშმარიტად შესანიშნავ მიღწევას თავიანთი წვლილი შემატეს მეცხოველეებმა, რომლებიც კვლავ ახალი შრომითი გმირობისათვის არიან შემართული.

ამის დასტურია ფერმის მუშაკთა ის სახიხარულო შრომითი პატაკები, რომლებიც რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოდის. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმები რეალიზებული აქვს 20 რაიონს, ბორცისა — 15-ს. განსაკუთრებით კარგად გაისარჯნენ და სამეურნეო წელს წარმატებით ამთავრებენ გარდაბნის, მარნეულის, ბოგდანოვკის, ხობის, ლენინგორის, აბაშის, მახარაძის, ყაზბეგის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების მეცხოველეები.

წლეულს რესპუბლიკაში შარშანდელზე მეტი ხორცი, რძე და კვერცხი დამზადდა. 16.700 სულით მოიმატა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგმა.

პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ზრდის, სულადობის სრულად შენარჩუნების რეზერვებს გულმოდგინედ იყენებენ და ფერმის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გასადიდებლად თავდადებით იღვწიან გარდაბნის რაიონის ფერმის მუშაკები. მათ წლეულს გეგმის გადამეტებით 450 ტონა რძე და 2 მილიონ 218 ათასი ცალი კვერცხი მიჰყიდეს სახელმწიფოს და ერთი ფურის წველადობა 70 კილოგრამით გაადიდეს. შარშანდელთან შედარებით 130 ტონით მეტია დამზადებული ხორციც. ამ წარმატებებს რაიონში იმით მიაღწიეს, რომ დანერგეს პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და კვების მოწინავე მეთოდები, ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება შრომის მაქსიმალური უკუგებისათვის.

ზემოაღნიშნული მაგალითები მოწმობს, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში გულმოდგინედ ამაღლებენ დიდმნიშვნელოვანი დარგის ეფექტიანობას, სჭმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, რომელიც სამოქმედო პროგრამად მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის პროფსაბჭომ, კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა.

პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისა და პროდუქტიულობის საკმაოდ მაღალი დონის შენარჩუნების საიმედო გარანტიაა ისიც, რომ საზოგადოებრივი და საკარმიდამო მეცხოველეობისათვის წინა წლებზე 143,7 ათასი ტონით მეტი უხეში საკვები, 214 ათასი ტონით მეტი სილოსი და სხვა სახეობის ფურაჟია მომარაგებული.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები თანამიმდევრულად ახორციელებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადწყვეტილებებს რესპუბლიკაში მეცხოველეობის ინტენსიური განვითარების შესახებ. მაგრამ ყველა პარტიული კომიტეტი და სამეურნეო ორგანო ჯეროვნად როდი ზრუნავენ დარგის ალმავლობის, უაირათიანობის და მომჭირნეობისათვის საბრძოლველად ადამიანთა დარაზმვისათვის. მაგალითად, საშუალოდ ერთ ფურზე ნაწველი შარშანდელთან შედარებით შეამცირეს ქარელის, გორის, ბორჯომის, გურჯაანის, ამბროლაურის, სიღნაღის, წიწამურის, ყვარლის რაიონებმა.

იმის გამო, რომ ვეტერინარულ წესებს არ იცავენ, პირუტყვს ჯეროვნად არ უვლიან და ცუდად კვებავენ, ბევრი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იძულებით იკვლება ამბროლაურის, ზნაურის, ჯავის, ონის და სხვა რაიონებში. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის ქარელის, ბორჯომის, ლაგოდეხის, ცაგერის, ცხინვალის, გუდაუთის, ჩიამჩირის რაიონებში, სადაც 11 თვეში 608-1.265 ღორი დაიკლა აძულებით. ეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ავალებს განსაზღვრულ ქმედითი ღონისძიებანი საქმის გამოსწორებისათვის, ამამაღლონ მომთხოვნელობა კადრებისადმი და ფართო აქტივზე დაყრდნობით უზრუნველყონ შრომითი მეტოქეობის საჯაროობა; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საკვების რაციონალურ გამოყენებას. ამ უკანასკნელზე უშუალოდ არის დამოკიდებული დარგის აღმავლობა, მაგრამ რაც უნდა ბევრი საკვები გვქონდეს, საქმეს ეფექტანად ვერ წარვმართავთ, თუ პირუტყვი დაუქუცმაცებელი და დაურთქლავი ნამჯით, დაუჭრელი სიმინდის ჩალით ვკვებეთ. ამ ეშმარიტებას ჯეროვნად ვერ აფასებენ ჯავის, ზნაურის, შუახევის, ონის და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები. ადგილებზე უყურადღება არ ექცევა პირუტყვის კვებაში ეფექტიანობის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას, ბარამიდის, სამრეწველო ნარჩენების გამოყენებას.

როგორც ფერმების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ გვიჩვენა, მეცხოველეებს მრეწველობისა და სხვა დარგების საწარმოთა მეტი დახმარება სჭირდებათ. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მეცხოველეობის მშენებარე ობიექტებს დროულად ვერ მიაწოდა სათანადო მასალები, მშენებლობა ჭიანურდება. საშენი მასალების სიმცირის გამო ძალზე ყოვნდება მეცხოველეობის ობიექტების როგორც კაპიტალური, ისე მიმდინარე რემონტი ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენის, საგარეჯოს და სხვა რაიონებში; ადიგენის რაიონის 4 საზოგადოებრივ მეურნეობაში დაუთმავრებელია საკვების გადამმუშავებელი საამქროები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული დიდმნიშვნელოვანი მითითებები, რომ მკვეთრად უნდა გაიზარდოს ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოება და დამზადება, რესპუბლიკის ფერმის მუშაკებს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. მით უმეტეს ახლა, პირუტყვის გამოზამთრების პერიოდში, როცა საჭიროა ეფექტიანების მოკრება, ყველა რეზერვის მობილიზება, რათა შენინარჩუნოთ ფერმის პროდუქციის წარმოების დონე.

ხიზნაღის, ახმეტის, ადიგენის, საგარეჯოს და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ფერმებში პირველადს ზოოტექნიკურ ღონისძიებას, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებასა და მისი კულტურის ამაღლებას; მეტი მზრუნველობა სჭირდება ჯიშიან მოზარდეულს, ვინაიდან ამ პირუტყვის მოუვლელობის გამო დიდია ზარალი და მცირდება უკუგება.

უკუგებას, მუშაობის ეფექტიანობას ისიც ამცირებს, რომ მეცხოველეობაში ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული წარმოების მოცულობის ზრდის ისეთი დიდი რეზერვი, როგორიც ფურის პროდუქციის ხარისხის ამაღლება. ეს კი, თავის მხრივ, რაოდენობრივი, მოცულობითი მაჩვენებლის შემცირებას, დარგის რენტაბელობის დაქვეითებას იწვევს. მაგალითად, იმის გამო, რომ კახეთის და ბორჯომის რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ხალხის მოთხოვნილებისა და ბაზრის მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებაზე ფიქრობენ, ეს ამ რაიონებში ფერმების ეკონომიკურ ეფექტიანობას ამცირებს. ასეთ ფერმებში ერთ ფურზე 1979 წლის 1 ოქტომბრისთვის 1.000 ლიტრ ნაწველ ფურზე 1.000 ლიტრ ნაწველ ფურზე 1.000 ლიტრ ნაწველ ფურზე

საქმე — მთავარი გამოცდილი

ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ: ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠᲝᲑᲐ, ᲜᲓᲝᲒᲐ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲙᲐᲠᲑᲘ გუთნის დედითა გუთანს არ გაუჭირდებოო, უთქვამს ქართველ კაცს. დღეს სოფელში აღარც გუთანია და აღარც გუთნისდედა, მაგრამ ამ ანდაზას შინაარსი არ დაუკარგავს. კარგი ხელმძღვანელის გვერდით არც საქმეს უჭირს და არც ადამიანებს. ამის მაგალითები კი ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აჭარის მაღალმთიანი რაიონების შემდგომი განვითარების პერსპექტიული გეგმა შეიმუშავა. მთაში უკვე გადაიდგა კიდეც საამისო ნაბიჯები. ამასთან ეს ნაბიჯები ზოგან კონკრეტული საქმიანობით გამოიხატა, ზოგან კი მხოლოდ თავი მოიტანუეს. ცუდი მუშაობის შედეგი დიდხანს არ აყოვნებს, მალე გამომზეურდება ხოლმე. ასე იჩინა თავი ჯერ კიდევ მაისის დამდეგს ქედის რაიონს ოქტომბრის კოლმეურნეობის მეცხოველეთა გასაჭირმა, როცა მწვანე ბალახის შემოსვლამდე კარგა ხნით ადრე პირუტყვისათვის საკვები შემოელიათ, გაჭირვებამ ფერმის გამგე რ. ბაჯელიძე რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტამდე მიიყვანა.

— ოქტომბრელთა მაგალითი გამონაკლისი არა არის, — თქვა ქედის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. თავდგირიძემ. — ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ მერისის ფერმის მესვეურებიც. მართალია, მათ დამსახურებისამებრ მივუზღეთ, მაგრამ აბა, ამით პირუტყვს რა ეშველებოდა! ამ ჩიხიდან გამოსასვლელი გზების ძიება პარტიის რაიკომს მოუზღა. ისიც საგულისხმოა, რომ ამგვარ შემთხვევაში პასუხი უნდა მოეთხოვოთ არა მარტო ფერმის გამგეებს, არამედ კოლმეურნეობის თავკაცებსაც. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ამიტომ საზოგადოებრივი პირუტყვის უსაკვებოდ დატოვება არავის ეპატიება.

რა თქმა უნდა, ყველგან ასეთი მდგომარეობა არ არის. იქ, სადაც ხელმძღვანელები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს, შედეგებიც უკეთესია. მაგალითად, წარმატებას მიაღწიეს მახუნცეთელებმა, რომლებმაც პარტიის მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნეს მუშაობა. მათ საფუძველი ჩაუყარეს მეცხოველეობის კომპლექსს, გონივრულად იყენებენ რეზერვებს.

ქედის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორის ს. ჟღენტის — გამრჯე და ინიციატივიანი მუშაკის ხელი მთელ მეურნეობას ეტყობა. გაშენდა ასობით ჰექტარი ტყე, შემცირდა ეროზია. გაფართოვდა წარმოება, სატყეო მეურნეობა ამ ბოლო ათწლეულში აკარაში პირველობას არ თმობს, უფრო მეტიც: რამდენჯერმე საკავშირო გარდამავალი წითელი დროშაც დაიმსახურა. ხორცის წარმოების ზრდის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას ქედის სატყეო მეურნეობა ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა. მისმა მშრომელებმა უმნიშვნელო დანახარჯებით კაპიტალური ფერმის შენობა ააგეს და ორასი სული ღორი მოაშენეს. დანახარჯი ერთ წელიწადში ავიანაზღაურეთო, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა. ასეთ თავკაცთან მუშაობა ხელქვეითებისთვისაც სასიამოვნო და სახალისოა...

გულისხმიერებით და საქმიანი თვისებებით სახელი გაითქვა აგრეთვე შუახევის რაიონის სამოლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ აბუსელიძემ. ორგანიზატორული ნიჭი, პირადი ინიციატივა, თავმდაბლობა, — კი რა ახასიათებს მას. მრავლისმნახველი, გამოცდილი, დიდი სამამული ომის მონაწილე ვეტერანი მაღლიერმა თანამოფლეგებმა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

საქმემან შენმან გამოგაჩინოსო, უთქვამს ხალხს. და მართლაც, ცხოვრება, საზოგადოებრივი საქმიანობა კადრების მკაცრი, მაგრამ ობიექტური გამომცდელია. ასეთ გამოცდას ყველა წარმატებით როდი აბარებს. დამაფიქრებელია ისიც, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი საპირო გულისხმიერებას ვერ იჩენს ხელქვეითების მიმართ, რაც ხშირად კადრების დენდობის მიზეზი ხდება. ხელმძღვანელი პირველ რიგში აღმზრდელი უნდა იყოს. ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობა, გულისხმიერი ზრუნვა — ეს არის პირდაპირი ბზა მათი გულებისაკენ.

კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ბოლო დროს უფრო უნარიანად წარმართავენ მათთან მუშაობას. ამის შედეგად გაუჭირებესდა კადრების შერჩევის პრინციპი. ეწყობა მიზნობრივი სემინარები, პარტორგანიზაციათა მდივნები სკოლებში ასწავლიან პარტიული მშენებლობისა და აქტივთან მუშაობის საკითხებს.

ახლა ჩვენ ხელთა გვაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპროგრამო დოკუმენტი „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც მიგვითითებს, თუ როგორ აღვზარდოთ ჩვენი მშრომელები სოციალისტური სამშობლოს, კომუნიზმის საქმის ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. პარტიის იდეოლოგიური ამოცანების პროპაგანდა ევალებათ არა მარტო იდეოლოგიური დარგის მუშაკებს, არამედ ყოველ ხელმძღვანელ ამხანაგს, თითოეულ კომუნისტს, ადამიანები იზრდებიან პრობლემების გადაწყვეტისას მით უმეტეს მთელ რაიონებში. აქ გადასაჭრელ პრობლემებს რა გამოლევს.

პრობლემები კი, მართლაც, აჭარის თითქმის ყველა რაიონს წინაშე დგას. ქედის რაიონმა სხვებს გაუსწრო მეთამბაქოეობაში. გაამართლა ჩაის კულტურამ. წარმატებები მოიპოვეს იქ, სადაც პირუტყვის სასუქებელი კომპლექსები შექმნეს, მაგრამ სარძეო ფერმები ვერ იქნა და რენტაბელური ვერ გახდა, რაც უარყოფითად მოქმედებს კოლმეურნეობათა ეკონომიკაზე. კვლავ გადაუჭრელია მეცხოველეობის საკვებ ბაზის და ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების პრობლემა.

მთის ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა კვალიფიციური კადრების სიმცირე, თანაც კადრების საკითხი ჭიის არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ სხვა დარგებშიც. არის სასოფლო საბჭოები, სადაც ექიმი არა ჰყავთ; ხულოსა და შუახევის რაიონებში ათობით პედაგოგი აკლიათ. ამის გამო ზოგიერთ საგანს ან არასაკვალიფიკაციანი ასწავლის, ან პედაგოგები ზედმეტად არიან დატვირთული, რაც, რა თქმა უნდა, ამცირებს სწავლების ეფექტიანობას. შარშან მთაში განაწილებული 17 პედაგოგი არ გამოცხადდა სამუშაოდ. თუმცა, მთას რომ თავი დავანებოთ, უნივერსიტეტდამთავრებული ნ. თევზაძე სამუშაოდ ისეთ საადრაკო დაბაშიც კი არ წავიდა, როგორიც ჩაქვია. ასევე მოიქცნენ თბილისელები ნ. ცარეგკო, ნ. ჩაკვეტაძე და სხვები.

საბედნიეროდ, ასეთები ერთეულები არიან. ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტები ძირითადად სამუშაოდ მიდიან იქ, სადაც ყველაზე მეტად ჭირს, სადაც ყველაზე მეტად არის საჭირო მათი ახალგაზრდული მეზნებარება, ენთუზიაზმი. ბათუმელი ელენე შაინიძე ხულოს რაიონის უშორეს სოფელ ყინჩაურის საშუალო სკოლაში წავიდა სამუშაოდ. ქალაქშვილმა პირველსავე წელს მიიქცია პედაგოგთა, მოსწავლეთა და სოფლის მცხოვრებელთა ყურადღება. იგი აქტიურად მონაწილეობს სკოლისა და სოფლის ცხოვრებაში. და კიდევ რამდენი ისეთი ახალგაზრდობის ჩამოთვლა შეიძლება, თავდადებით რომ მუშაობენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, ჩაის პლანტაციებსა და ციტრუსის ბაღებში.

კადრების აღზრდა, მათი დაოსტატება ჩვენი პარტიის მთავარი საზრუნავი იყო და არის. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მიერ შემუშავებული ღონისძიებები. პლენუმზე ხაზგასმით ითქვა, რომ „კადრები ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე ძვირფასს, ყველაზე დიდ კაპიტალს, ოქროს ფონდს წარმოადგენენ“... და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის დიდი ძვრები, რომლებიც აჭარის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შეინიშნება, უწინარესად სწორი საკადრო პოლიტიკის შედეგიც არის.

პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს ახალი ამოცანები დაუსახა. იგი ითვალისწინებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას. ამასთან მან მტკიცედ მოითხოვა, რომ საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში გადაჭრით აღიკვეთოს ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები.

ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მიმდინარეობს აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში. პარტიის სოლქო კომიტეტის მდივნებმა, პლენუმის სხვა მონაწილეებმა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ აქტივს ვრცელი ინფორმაცია გაუკეთეს პლენუმის მუშაობის შესახებ. პარტიის ქობულეთის, ქედის, ხელვაჩაურის და სხვა რაიკომებთან პროპაგანდისტებისათვის ეწყობა სემინარები, სადაც სწავლობენ პლენუმის მასალებს. ამჟამად პირველადი პარტორგანიზაციის მდივნებისა და სამეურნეო აქტივის სკოლებში სწავლების მთავარი თემაა პლენუმის მასალები. ძირითადი მიზანი ის არის, რომ პლენუმის სულისკვეთება საფუძვლიანად ესმოდეს ყველა კომუნისტს, თითოეულ შრომითს კოლექტივს, მის ყოველ წევრს და დღენიადაგ ვიზრუნოთ მისი გადაწყვეტილებების განსახორციელებლად.

დღეს საქართველოს თითოეული მშრომელი იმ დიდი შთაბეჭდილებებით მუშაობს და ცხოვრობს, რაც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადმა მისალმებამ რესპუბლიკის მშრომელთა ალალი და ნამდვილი ვაჟკაცური გარჯის გამო. ახალი წლიდან საზრუნავი უფრო გვემატება. ამიტომ დღეს ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, როგორც შრომითი კოლექტივების მებრძოლი ავანგარდი, ყველგან ქმნიან მაღალი მომთხოვნელობისა და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის ატმოსფეროს, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ აჭარის მშრომელები ახალი სასახელო წარმატებებით შეეგებონ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, მომავალი ახალი წელი ნამდვილი დამკვრელური მუშაობის წლად აქციონ.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

რედაქციას ᲐᲠ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲔᲜ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდა კრიტიკული წერილი „მწვანე მანდარინი“, რომელშიც მხილებული იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის მცდელობის ფაქტები. ამის გამო რედაქციამ მიიღო აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ა. ანთელავას პასუხი, რომელშიც წერს:

წერილში მოყვანილი ფაქტების გამო მიღებულია შემდეგი ღონისძიებები: სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა მოლდავეთის სსრ № 1 „კაშინოვტრანტის“ მძღოლი ვალერი მიხეილის ძე ბერეგოვოი, რომელმაც სახელმწიფო ტრანსპორტი პირადი გამორჩენის მიზნით გამოიყენა და 800 მანეთად შეეცადა საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაეტანა გაურკვეველ პირთა 4280 კილოგრამი მანდარინი.

ქალაქ გაგრის სახალხო სასამართლოს დადგენილებით, კონფიშკებულია და სახელმწიფოს ჩაბარდა გაურკვეველ პირთა 910 კილოგრამი ბრონეული, რომლის გატანასაც ცდილობდნენ უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმანის თევზსაშენის სამელიორაციო სადგურის კუთვნილი ავტომანქანით.

გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის მცხოვრები პ. მაჩკალიანი შეეცადა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სახპეკულაციოდ გაეტანა 470 კილოგრამი მანდარინი. ამისათვის დრანდის სახალხო დეპუტატთა სახოფლო საბჭოს აღმასკომის რჩევით ლენინაძის სახელობის კოლმეურნეობამ პ. მაჩკალიანი გარიცხა კოლმეურნეობიდან და ჩამოართვა საკარმიდამო ნაკვეთი.

ბაბუშარის სახალხო დეპუტატთა სახოფლო საბჭოს აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს სოფელ ვარჩის მცხოვრების ო. ხვიჩიას საკითხი, რომელსაც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უნდოდა გაეტანა 600 კილოგრამი მანდარინი. აღმასკომის წინადადებით, ბაბუშარის ეთერზეთოვანთა მეურნეობა-ქარხნის დირექციამ ო. ხვიჩიას შეუმცირა საკარმიდამო ნაკვეთი 0.15 ჰექტარამდე.

საქართველოს კომპარტიის ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „საქმეს დაჩქარება უნდა“ ეხებოდა წულუკიძის რაიონში საკვების დამზადებაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამის თაობაზე საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომი რედაქციას ატყობინებს:

რაიკომის ბიურომ განიხილა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვების დამზადების საკითხი.

სენაჟისა და ხილოხის დამზადების ტექნოლოგიის დარღვევისა და ხაქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ბიურომ კუზის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომს ა. გუგავას საყვედური გამოუცხადა, საკვების აღრეცხვა-ანგარიშგების მოუწესრიგებლობისათვის კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტერს ლ. გორდაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მეცხოველეობის ფერმის გამგის შ. ჩარქსელიანის და ზოოტექნიკოს გ. ჩიხლაძის მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიებების განსახორციელებლად საკითხი განსახილველად გადასცა სოფლის მეურნეობის სამმართველოს.

საქართველოს კომპარტიის ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ

გაზეთ „კომუნისტის“ 12 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ცოტა წინ გავიხედოთ“ გაკრიტიკებული იყვნენ საკვების დამზადებაში ჩამორჩენილი ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობები. ამის თაობაზე პარტიის ამბროლაურის რაიკომი გვატყობინებს:

საკვების დამზადებაში ჩამორჩენილობისათვის ჭელიაღელის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვ. დვალი გადათავისუფლებულია თანამდებობიდან, ხოლო ხვანჭკარის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ა. კობახიძეს მიეთითა.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ჭრებალოს, სხვავისა და ცახის კოლმეურნეობებში სათანადო პირობები შეიქმნა პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის.

სიტყვისა და საქმის ერთიანობისათვის

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები. ახლა დადგა დრო მომდინარე საანგარიშო პერიოდში პარტიული მუშაობის უკეთ წარმართვის თაობაზე ფიქრისა და განსჯისა, საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტთა მიერ საქმის გაუმჯობესების მიზნით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელების გზების და საშუალებების ძიებისა. სწორედ ამიტომ პარტიის საქალაქო კომიტეტის რეკომენდაციით ქალაქის პარტიული ორგანიზაციები განიხილავენ საკითხს — „სიტყვისა და საქმის ერთიანობა“.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ ეს პირველი კრებაა, რომელზეც ყოველმხრივ და საფუძვლიანად აანალიზებენ კომუნისტების მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების საკითხებს, მსჯელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების წარმატებით შესრულების გზებსა და საშუალებებზე.

ᲬᲐᲗᲒᲘᲠᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲕᲔᲒᲖᲔ

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომში გაიმართა რაიონის იდეოლოგიური დარგის მუშაკთა თათბირი, რომელშიც გააანალიზა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად რაიონის პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა.

მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა თ. ტრაპაიძემ და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ სახელმძღვანელო უაღრესად მნიშვნელოვანი საეტაპო დადგენილების გამოქვეყნებისთანავე რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა, პროპაგანდისტებმა, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, ვეტერანმა კომუნისტებმა წამოაყენეს თავიანთი კონკრეტული წინადადებები ამ მხრივ მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, რომელთა გათვალისწინებით შემუშავდა კომპლექსური გეგმა. ამ გეგმის შესასრულებლად სერიოზული მუშაობაა გაწეული და გარკვეული წარმატებებიც არის.

თათბირზე აღინიშნა რაიონის ის დაწესებულებები და ორგანიზაციები, სადაც ამ მხრივ კარგად არის საქმე, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება დათმო ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, მათი გამოსწორების გზებსა და საშუალებებს.

თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია

ᲖᲣᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). აქ გამართულ თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც მოწყვეს პარტიის რაიკომმა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ, დიდი ინტერესით მოისმინეს მოხსენებები: „გარემოს გაჭუჭყიანების პლანეტარული პრობლემები“, „ჰაერის გაჭუჭყიანების თანამედროვე პრობლემები და კლიმატი“, „გავუფრთხილდეთ ბუნების ბიოლოგიურ რესურსებს“, „მცენარეები — მწყანე ფილტვები“ და სხვ.

თეორიულ-პრაქტიკულმა კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები.



ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ



ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ სოციალისტური რესპუბლიკიდან ჩამოსულ ჭაბუკთა დიდი ჯგუფი შეუდგა მეცადინეობას თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან მარშალ ტოლბუხინის სახელობის № 6 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. ტრადიციისამებრ ნორჩი ვიეტნამელი მეგობრები სამი წლის განმავლობაში აქ სწავლობენ რუსულ ენას და ეუფლებიან მელითონის პროფესიას.

1969 წლიდან სასწავლებელმა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ლითონდამამუშავებელი საწარმოებისათვის **400** სპეციალისტი მოამზადა.

სასწავლებელში ჭაბუკები ეუფლებიან ხარატას, სამრეწველო მოწყობილობის შემკეთებელი ელექტროზეინკლის, ელექტროშემდუღებლის, სახარატო ავტომატების და ნახევარავტომატების გამმართველისა და მექანიკურ-ხასწყობ სამუშაოთა ზეინკლის პროფესიებს.

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის — № 6 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საბაზო საწარმოს საუკეთესო დამრიგებლებმა შეფობა იკისრეს მოძმე ვიეტნამიდან ჩამოსული ნორჩი მეგობრებისადმი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: რუსულ ენაში პირველ მეცადინეობას ატარებს მასწავლებელი ლაურა ჭანტურია; დო დიკ კუი გახდება ხახარატო ავტომატების გამმართველი; ვიეტნამელი ჭაბუკების დამრიგებელი არნოლდ ცინცაძე მომავალ მელითონელებს აცნობს ხახარატო ჩარხების მუშაობას.

Გ. ᲜᲐᲮᲣᲪᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲑᲝᲠᲓᲑᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲔᲑᲘ

ᲛᲐᲨᲘᲜ, როცა ტრიბუნიდან პირველად მიმართა კოლმეურნეებს, გიორგი გელაშვილი ძალიან ღელავდა, მაგრამ მტკიცედ თქვა: რაკი ნდობა აღმოუჩინეს და ასეთი დიდი მოვალეობა დააკისრეს, მუდამ მათთან იქნებოდა და ხელიხელჩაკიდებულნი მეურნეობას მოწინავეთა რიგებში ჩაიყენებდნენ. დაპირდა, რომ არ მეურიგდებოდა არავითარ ჩამორჩენას და გულგრილობას.

თითქოს მას შემდეგ დიდი დროც არის, და არც არის. დიდი ხანია, რადგან, ამ შიწებზე მომხდარი ცვლილებები იმდენად მნიშვნელოვანია, დაჯერებაც ჭირს. და არც არის დიდი ხანი, ვინაიდან თავმჯდომარეს საზრუნავი არ დაჰკლებია, ხოლო პასუხისმგებლობა, რომელიც სწავლულმა ზოოტექნიკოსმა გიორგი გელაშვილმა მთელი სიცხადით შეიგრძნო თოთხმეტი წლის წინათ, ოდნავადაც არ შენელებია.

განვლილ პერიოდში კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 700 ათასი მანეთიდან 3 მილიონამდე გაიზარდა, განუყოფელი ფონდების ღირებულება — ოთხჯერ, შრომის ანაზღაურება სამჯერ და უფრო მეტად. ვაზი გაშენდა 500 ჰექტარზე, შეიქმნა მეღორეობისა და მერძევეობის მძლავრი კომპლექსები, მარცვლეულის მოსავლიანობა გაიზარდა ერთისამად და უფრო მეტად.

ბევრი სტუმარი მოდის ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ბუნებრივია, მათ აინტერესებთ მეურნეობის წარმატებების საიდუმლო. და მრავალ მომენტებს შორის ისინი აუცილებლად გამოყოფენ, თავისთვის ჩაინიშნავენ ხელმძღვანელის მუშაობის ეფექტიანობას. იგი ვლინდება იმაში, რომ თავმჯდომარე ღრმად სწვდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებს, სწავს, რომ მისი ექსპერიმენტი შედეგიანი იქნება, დაოოკებლად სწყურია გამოავლინოს ადამიანის შესაძლებლობანი მიწის დამუშავებაში, დიდი უნარი აქვს დაარწმუნოს ადამიანები.

— ჩვენი თავმჯდომარე ნამდვილად მეთაურის სიმაღლეზეა, — თქვა უხუცესმა კოლმეურნემ ილო გელაშვილმა, რომელიც ხუთი ათეული წელია კოლმეურნეობის განმტკიცებას ემსახურება.

ადამიანი მეთაურის სიმაღლეზეა... როგორც ყოველი სიმაღლიდან, ალბათ, მის თვალწინ გადაიშლება უფრო ფართო ჰორიზონტი და ადვილად ხედავს იმ ახალს, პერსპექტიულს, რასაც სხვები ჯერ კიდევ ვერ ხედავენ. მაგრამ მარტო ახლის დანახვა არ კმარა, საჭიროა იგი საყოველთაო კუთვნილებად აქციო. ამისათვის კი გულმოდგინება და გულადობა უნდა გქონდეს, მომთხოვნი და მტკიცე უნდა იყო.

— ყოველი საქმის წარმატების საწინდარი, — ამბობს თავმჯდომარე, — შრომის ზუსტი ორგანიზაცია, წესრიგი და დისციპლინაა. მეურნეობაში შეუძლიათ მოჰკიკთხონ დამწყებ მუშაკსაც, გამოცდილსაც, ზოგჯერ სახელგანთქმულ მშრომელსაც. კოლმეურნეობაში ახსოვთ, როგორ გაათავისუფლეს თანამდებობიდან მეურნეობის სამი ბრიგადირი, რომლებიც წარსულში კარგად უძღვებოდნენ საქმეს და წარმატებებიც ჰქონდათ, მერე კი ერთბაშად შეასუსტეს მუშაობა და ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდნენ. გამგეობის ერთ-ერთ სხდომაზე ისმენდნენ კოლმეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორის ვალიკო პავლიაშვილის ანგარიშს ზამთარში ტექნიკის შენახვის შესახებ. საქმიან, მკაცრ შენიშვნებს აძლევდნენ მთავარ სპეციალისტს. პავლიაშვილი შეეცადა „ხელიდან დასხლტომოდა“ გამგეობის წევრებს, რომლებიც ყოველი მხრიდან უტევდნენ: „ტექნიკის შენახვისათვის განკუთვნილი დრო ჯერაც არ გასულაო“.

— როცა გავა, უკვე გვიან იქნება, — უთხრეს მას.

გ. გელაშვილს პარტიის სიღნაღის რაიკომში ნოვატორს, ისეთ ადამიანს უწოდებენ, რომელსაც შეუძლია ყველა ფრონტზე ბრძოლა. ამ ბრძოლაში ადამიანებს ეხმარება ინტერნაციონალური ინტერესებიც. ეს ინტერესებია ეკონომიკურ-ეკოლოგი

მიეცი ნიჭსა გზა ფართო

დღეს, როცა მეცნიერება უშუალო საწარმოო ძალა გახდა, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ მისი ყველა ფუნდამენტური დარგის განვითარებას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საქმისადმი ხელმძღვანელობის შემდგომ გაძლიერებას. დღის წესრიგში დგას მეცნიერთა პერსპექტიული კადრების მომზადების, გაბედული მეცნიერული ძიების, მკაცრი ამხანაგური ურთიერთმომთხოვნელობის, პრინციპული და საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის შექმნის პრობლემური საკითხები.

მათი გადაჭრის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო უმაღლესი საატესტაციო კომისიის რეორგანიზაცია, რომელიც 1976 წლის ბოლოს მოხდა და ძირითადად მიზნად ისახავდა ჩვენს ქვეყანაში სადისერტაციო ნაშრომებისადმი მომთხოვნელობის შემდგომ გაძლიერებას.

თუ როგორია ამ რეორგანიზაციის მომდევნო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები, ამის შესახებ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს რ. ჭელიძეს ესაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დავით ჩხიკვიშვილი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

— ეს მეტად დროული ღონისძიება იყო, — თქვა ი. ჩხიკვიშვილმა, — საქმე ის არის, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე ბევრ რეგიონში ხდებოდა სადისერტაციო ნაშრომების დაცვისადმი ლიბერალური დამოკიდებულების შემთხვევები, როცა ხარისხი ენიჭებოდა მუშაკს, რომლის სამეცნიერო შრომას არავითარი სიახლე არ შეჰქონდა მეცნიერებაში. როგორც ცნობილია, რეორგანიზაციის დროს უმაღლესი საატესტაციო კომისია უმაღლესი განათლების სამინისტროს განმგებლობიდან უშუალოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განმგებლობაში გადავიდა და შეიქმნა სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოები წინათ არსებული ე. წ. უნივერსალური საბჭოების ნაცვლად. ე. ი. თუ წინათ, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის მეცნიერების ყველა დარგში ერთი სამეცნიერო საბჭო იყო და ყველა დისერტაციას ის განიხილავდა, ამ ეარეთ-წოდებულ უნივერსალური საბჭოს მაგვარად ამოქმედდა ხუთი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭო —პარტისტორიაში, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, მსოფლიო ისტორიაში, არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში. მეცნიერულ კომუნიზმში...

ამან ყველგან აამაღლა კომპეტენტურობა, გაზარდა მომთხოვნელობა ნაშრომების მიმართ და ამჟამად თითქმის გამორიცხულია, რომ დადებითად შეფასდეს სადისერტაციო ნაშრომები, რომლებიც ვერაფრით ვერ ამდიდრებენ მეცნიერებას. თვითონ განსაჯეთ: უნივერსიტეტის 40 სამეცნიერო საბჭოში უკანასკნელ ორ წელიწადში დაცული 366 დისერტაციიდან არც ერთი არ დაუწუნებია უმაღლეს საატესტაციო კომისიას! როგორც იტყვიან, ფართო გზა მხოლოდ ნიჭს მიეცა...

რეორგანიზაციამ კიდევ უფრო გააფართოვა ჩვენი უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების კონტაქტები ჩვენი ქვეყნის დიდ სამეცნიერო ცენტრებთან. ეს თანამშრომლობა დისერტაციების დაცვასაც გულისხმობს. ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ იმ ეარა ტრადიციას, რომ თბილისის უნივერსიტეტში დისერტაციებს იცავდნენ არა მარტო ქართველი, არამედ ჩვენი ქვეყნის თუ საზღვარგარეთის მეცნიერი მუშაკები. არა ერთი დიდი საბჭოთა მეცნიერი ამაყობს იმით, რომ დისერტაცია დაიცვა აქ, ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში, და, ცხადია, ეს ჩვენც გვეამაყება.

ასეთი სამეცნიერო კონტაქტები სულ უფრო ძლიერდება უმაღლესი საატესტაციო კომისიის რეორგანიზაციის შემდეგ. მაგალითად, დაცული 366 დისერტაციიდან 28 აზერბაიჯანის, 14 სომხეთის, 21 რსფსრ წამყვანი სამეცნიერო ცენტრების, 9 უკრაინის, თითო-თითო ლიტვის, ყაზახეთის, ბაშკირეთის, ჩუვაშეთის წარმომადგენლებზე მოდის, 3 დისერტანტი არაბეთიდან იყო, 2 ბულგარეთიდან, 2 ვიეტნამიდან, 1 ინდოეთიდან, 1 ბანგლადეშიდან და ა. შ.

ჩვენთან ეს დისერტაციები ამ მეცნიერებმა რუსულ ენაზე დაიცვეს. რადგან რუსული ენა ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობათა ენაა. მაგრამ რაკი რუსულ ენაზე დაცულ დისერტაციებზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა აღვნიშნო ასეთი ციფრიც, რომ 366 დისერტაციიდან აბსოლუტური უმრავლესობა — 245 დისერტაცია ქართულ ენაზეა დაცული, ხოლო 121 — რუსულ ენაზე. ეს უკანასკნელნი ძირითადად ჩამოსული ხალხია, ანდა ადგილობრივი მკვიდრნი, რომლებმაც ნაშრომები რუსულად წარმოადგინეს.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: ბოლო ხანს როგორც დისერტანტები, ისე სამეცნიერო საზოგადოებრიობა დაინტერესებული არიან, რომ ქართველი მეცნიერების ოპონენტებად მოწვეულ იქნენ სსრ კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრის ცნობილი მეცნიერები. განვლილ პერიოდში ჩვენთან დისერტაციების დაცვასას ოპონენტებად იყვნენ ისეთი მეცნიერები, როგორიც არიან მათემატიკოსი-პროფესორები — ა. ეფიმოვი, ი. კაზმინი, ვ. ბოლპიანსკი, დ. სოლომენცევი, ბ. კაზინი, ფიზიკაში — გ. კრიმსკი, ვ. ბელიაკოვი, ვ. ბონჩ-ბრუევიჩი, ქიმიაში—დ. ვინკინი, ვ. კირეევი, ფილოსოფიაში — ნ. ოვსიანიკოვი, ვ. შესტაკოვი, ფილოლოგიაში — ვ. იარხო, ა. ტახო-გოდი, ე. როზენი და მრავალი სხვა.

რა თქმა უნდა მათ დასკვნები რუსულ ენაზე გამოჰქონდათ. მაგრამ ენობრივი ბარიერი აქაც არ არსებობს, რადგან დისერტანტებს სრული უფლება აქვთ პასუხი წარმოადგინონ ქართულ ენაზე. მოხდა ერთი სიახლეც: იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლეს საატესტაციო კომისიაში რუსულ ენაზე გადათარგმნილი იმ სადისერტაციო ნაშრომების წარდგენა, რომლებიც საქართველოს სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დაცული, ზემდგომი ორგანოების ინიციატივით გადაწყდა, დისერტაციების თარგმნის ხარჯები აანაზღაურონ იმ დაწესებულებებმა თუ საწარმოებმა, საიდანაც დისერტანტები მუშაობენ ან სწავლობენ; მალე ამ სამეცნიერო-კვლევითი დასკვნები [illegible] ენაზე. ეს ღონისძიება, ალბათ, ხელს შეუწყობს ეროვნული დისერტაციების ხარისხის ამაღლებას.

ბუნებრივია, მომთხოვნელობის ესოდენ მკვეთრი ამაღლების პირობებში იბადება კითხვა, ხომ არ იკლო დისერტაციების დაცვამ? სიმართლე გითხრათ, ჩვენ კლებას ველოდით, და რეორგანიზაციის პირველ წელიწადს დისერტაციების დაცვის რაოდენობამ მართლაც იკლო, მაგალითად, თუ 1974 წელს 188 დისერტაცია გვქონდა, 1977 წელს 91 იყო, მაგრამ მომდევნო წლებში ზრდის ტენდენცია აშკარად ჩანს — 1978 წელს 141 დისერტაცია იქნა დაცული, წელიწადს კი ეს ციფრი 160-ე მიაღწევს. არათუ მცირდება, არამედ იზრდება კიდეც საკანდიდატო დისერტაციების დაცვა (მაგალითად, 1974 წელს იყო 128, 1978 წელს — 132, წელიწადს კი 150-ია).

სამაგიეროდ, შემცირდა სადოქტორო დისერტაციების დაცვა, იგრძნობა, რომ მომთხოვნელობა სადოქტორო დისერტაციებისადმი [illegible] ეხლა [illegible] ამ გარემოებამ ამ გარეგნობამ მინიც უნდა [illegible] ან [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული

კინორეჟისორი

თ. აბულაძე

გვიამბობს

გამარჯვებული „ნატვრის ხე“



საგულისხმო ფაქტია: რესპუბლიკის სახალხო არტისტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის კინორეჟისორ თენგიზ აბულაძის ყველა ფილმი პრემიერებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მნიშვნელოვან კინოფესტივალებზე, საკავშირო კინოფორუმებზე.

ცნობილია, თუ რა დიდი აღიარება მოიპოვა ქართველი რეჟისორის ბოლო ნამუშევარმაც, მხატვრულმა ფილმმა „ნატვრის ხემ“.

ახლახან ქართველი რეჟისორი ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნდა. იგი მიწვეული იყო იუგოსლავიაში, იტალიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ჰოლანდიასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ამ მოგზაურობის თაობაზე **თ. აბულაძემ** „კომუნისტის“ კორესპონდენტს **ვ. მარდალეიშვილს** უთხრა:

როგორც იცით, თბილისი და ლუბლიანა დაძმობილებული ქალაქებია. ლუბლიანაში მიმდინარეობდა საქართველოს კულტურის დღეები. სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად უჩვენეს ქართული ფილმები, მათ შორის ჩემი „ნატვრის ხე“. თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ — ფილმს დიდი წარმატება ჰქონდა.

ლუქსემბურგში, ჰოლანდიასა და ბელგიაში კი მოეწყო საბჭოთა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. ამის გამო პოლონეთს ეწვია საბჭოთა კინემატოგრაფისტთა დელეგაცია. საქართველოდან დელეგაციაში ვიყავით მე და რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ე. შენგელაია. პოლონელმა მეგობრებმა მოაწყვეს ჩვენი ფილმების რეტროსპექტივა.

კინოფილმ „მაგდანას ლურჯა“-დან“ მოყოლებული თ. აბულაძის ნამუშევრები დიდად პოპულარულია პოლონეთში. ამ ფაქტის ერთგვარი ოფიციალური აღიარება გახლდათ პოლონური ორდენი, რომელიც სწორედ იმ დღეებში მიიღო ქართველმა რეჟისორმა ამ ქვეყნის კულტურის წინაშე გარკვეული დამსახურებისათვის.

საგულისხმოა ისიც, რომ ამ შემოდგომაზე პოლონეთში გაიმართა კინოპლაკატის ფესტივალი, რომელშეც გამარჯვება მოიპოვა პოლონელი მხატვრის ფრანტიშეკ სტაროვეისკის „ნატვრის ხისათვის“ შექმნილმა პლაკატმა.

მაგრამ ყველაზე საამაყო იყო ცნობა იმის შესახებ, რომ რეჟისორმა თ. აბულაძემ ფილმისათვის „ნატვრის ხე“ მიიღო იტალიის სახელმწიფო პრემია „დავითი“.

ეს პრემია ამ ოცდა ხნის წინათ გადაეცა თ. აბულაძეს. საგულისხმოა, რომ საბჭოთა ფილმებიდან ეს პატივი ჯერჯერობით მხოლოდ ქართულ კინოსურათს ერგო. „ნატვრის ხე“ იტალიაში წლის საუკეთესო საზღვარგარეთულ ფილმად აღიარეს.

პრემია „დავიდ დი დონატელო“ ყოველწლიურად ენიჭება იტალიისა და საზღვარგარეთის კულტურის საუკეთესო მოღვაწეებს; წელს ეს საპატიო ჯილდო ჩვენს თანამემამულეს ხვდა. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ დონატელოს „დავითს“ დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული მთელ მსოფლიოში.

— კონკურსზე წარმოდგენილი ფილმების ჩვენება, განაგრძობს თ. აბულაძე, — 1978-79 წლის სახელმწიფო პრემიის — დონატელოს „დავითის“ მოსაპოვებლად დაიწყო 1978 წლის 27 სექტემბერს და დასრულდა წელს 22 მაისს. ის ფაქტი, რომ ჟიურიმ 8 თვე დაუთმო ფილმების შეფასება-ჩვენებას, თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა სიმკაცრით უდგებოდა იგი თავის ვალდებულებებს. ფილმების გადარჩევა ხდებოდა რომში, ტურინში, მილანში, ფლორენციაში, ბოლონიაში, ნეაპოლში. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ კულტურისა და ხელოვნების პროფკავშირების წარმომადგენლები.

კონკურსზე წარმოდგენილი იყო 62 ფილმი, 40 — საზღვარგარეთული და 22 — იტალიური.

ვუოლიავთ ჩვენს გამოჩენილ ხელოვანს და მასთან ერთად ყველა ჩვენს მკითხველს ქართული კინოს ამ დიდ გამარჯვებას.

— ჩემთვის, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ეს ჯილდო, —ამბობს რეჟისორი, — სასიამოვნოა ისიც, რომ ბოლო ხანებში ქართულმა კინოფილმებმა დიდი გამარჯვებები მოიპოვეს საერთაშორისო სარბიელზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მსოფლიოს გააცნეს ჩვენი პატარა ქვეყანა.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — პოლონეთის ორდენი; მარჯვნივ — დონატელოს „დავითი“.

ფიგნის თარო

გამოვიდა ლიტერატურული კრებული „ზეკარი“ (გამომცემლობა „მერანი“, შემდგენლები ჯ. ღვინჯილია და მ. წიკლაური, მხატვარი — სპარტაკ ცინცაძე), კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მიიღო მკითხველმა. კრებული მრავალფეროვანია და წარმოდგენილია მწერლობის თითქმის ყველა ჟანრი. აქ თავმოყრილია სამოცდაათიან წლებში გამოსული ახალგაზრდა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები.

კრებულის გამოცემა განსაკუთრებით იმით არის საყურადღებო, რომ კონკრეტულ მიზანს ისახავს: კონტრტიტულზე ასეთ წამოღვარებას ეკითხულობთ: „ავტორების, მხატვრების, შემფასებლების სურვილით, კრებულის მთელი ჰონორარი გადაერიცხება საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს“. შეუძლებელია ამ კეთილშობილურმა ჩანაფიქრმა ყველა მამულიშვილის გულში თანაგრძნობა და პატივისცემა არ გამოიწვიოს. თუ რა ამოძრავებდათ „ზეკარის“ თაოსნებს კარგად არის გაცხადებული კრებულის შესავალ წერილში: „ქართული ისტორიული ძეგლები ...არა და არ არიან წარსულის მოწმეები და მიწისზედა არქეოლოგიის საგნები... მხოლოდ ხშირ წაკითხვას გვავალებენ სიბრძნით, გამოცდილებით დაყურსული მათი მხრები, გუმბათები და კედლები და უმალ ცოცხლდებიან ჩვენ წინაშე როგორც გოლიათები ზღაპარში, ცოცხლდებიან და როგორც ყველაზე უფრო თანამედროვენი ქმნიან წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც“...

ამ თვალსაზრისით კრებულის მნიშვნელობა სამ უმთავრეს ასპექტს მოიცავს: ერთი რომ, — თავისთავად ჯარი კრებული გამოვიდა, სადაც მკითხველი გაეცნობა ახალგაზრდა ავტორების რჩეულ ლექსებს, მოთხრობებს, წერილებს... მეორე — კრებულის მთელი ჰონორარი მოხმარდება თამარისდროინდელი არქიტექტურული ძეგლის „ლამაზი საყდრის“ (დმანისი) აღდგენა-რესტავრაციას; მესამე და უმთავრესი ის არის, რომ ამ ჩანაფიქრში დიდი მოქალაქეობრივი ვალდებულება ჩანს.

ეროვნულ კულტურას და ცივილიზაციას მრავალი ასპექტი ასახრდოებს, ყველას თავისი წვლილი შეაქვს საერთო ეროვნულ საგანძურში. მათ მოვლა და გაფრთხილება უნდა. ჩვენი კულტურის ერთი ასეთი სფეროა ძველი არქიტექტურული ძეგლების მოვლა-პატრონობა. სწორედ ამ საჭირბოროტო პრობლემებს ეხება კრიტიკოს ზაზა აბზიანიძისა და პროფესორ ირაკლი ციცაშვილის საუბარი. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ბევრიც გასაკეთებელია, — ასეთია ამ საუბრის ზოგადი აზრი. მთავარი ის არის, რომ ამ მამულიშვილურ საქმეს მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა. ეს დარღვეული და ჩამოძარცული ძეგლები არა მარტო გარდასულ დიდებაზე მეტყველებს, არამედ დღევანდელობასაც შთაგონებას ანიჭებს, დღევანდელი და ხვალინდელი დღის იმედით ვუფრთხილდებით გუშინდელ დღეს. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდათ „ზეკარის“ გამომცემლებსა და ავტორებს. ამ თვალსაზრისით არის საინტერესო კრიტიკოს ჯანსუღ ღვინჯილიას წერილი „ეროვნული წარსული და მომავალი“. წერილი ერთხელ კიდევ შეგვახსენებს ჩვენი დიდი წინაპრების აზრით მოსილ ცხოვრებასა და ჩვენს დღევანდელ მოქალაქეობრივ მოვალეობასაც, თანაგრძნობას როგორც ეროვნული წარსულისადმი, ისე დღევანდელი კულტურისადმი.

ამ თვალსაზრისს ავითარებს დენზა ზუმბაძისა და ჯუმბერ თითმერიას წერილები — „რუსთაველის უმაღლესი წოდება და პოეტის მუზა“ და „საქმენდიდო ხელისგულზე“. საინტერესოა აგრეთვე თეიმურაზ დოიაშვილისა და ლევან ბრეგაძის ლიტერატურული წერილები.

ჩვენი პოეზიის მოყვარულები უკვე კარგად იცნობენ თედო ბეკიშვილის, ბესიკ ხარანაულის, ლია სტურუას, თეიმურაზ აბულაძის, ჯარჯი ფხოველის, გივი ალხაზიშვილის, ზაალ ებანოიძის, გრიგოლ ჯულუხიძის, მურმან ჯგუბურიას, ავთანდილ ყურაშვილის, შოთა ქავთარაძის, ესმა ონიანის, ტაგუ მებუტრიშვილის, გურამ პეტრიაშვილის, მპოკა წიკლაურის, ვანო ჩხიკვაძის ლექსებს, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი საკუთარი ხმით, პოეტური სტილის თავისებურებით. მიუხედავად ამისა, მათ ერთი გრძნობა და აზრი აერთიანებთ: სამშობლოს და თანამედროვე ცხოვრების გულწრფელი განკიცდა. კრებულ „ზეკარში“ დაბეჭდილია ჯემალ ჭარხნაძის საინტერესო მოთხრობა „ოგი“ და ახალგაზრდა პროზაიკოსის ნუგზარ შატაიძის მოთხრობები. აქვეა წარმოდგენილი ჯემალ აჯიაშვილისა და ზეზვა მედოლაშვილის მშვენიერი თარგმანები.

ლ. ალიმონაკი.



„კომუნისტის“ ფოტოსტენდი

თბილისი: ძველი მოტივი.

ჯ. აბრამიძის ფოტო.

ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲗᲐ 39-Ე...

დიდძალი გადადებული პარტიების გამო ლიდერების მდგომარეობა მეტად ბუნდოვანი იყო.

რა გვიჩვენა გადადებული პარტიების დამთავრებამ? ლევიტინას ეტლების ენდშპილში რაიმე სერიოზული პრობლემა არა ჰქონდა გადასაწყვეტი კობაიძესთან. მან ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იზეიმა და 10,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ლევიტინა, რომელიც ამ ტურნირში მშვენივრად თამაშობს, რა თქმა უნდა, არ აპირებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდების დათმობას, თუმცა მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება მეოთექვსმეტე ტურში შავებით შეხვედრას სემიონოვასთან, რომელიც, მართალია, გამოეთხოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას, მაგრამ ხუთეულში მოხვედრისათვის იბრძვის.

ალექსანდრიას არ შეიძლებოდა დიდი იმედი ჰქონოდა ლიტინსკაიასთან გადადებულ პარტიაში. მას შემდეგ, რაც ლვოველის კიდური გამსვლელი პაიკი წინ დაიძრა, ალექსანდრიას დანებება მოუხდა. ალექსანდრიას, რომელიც სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (მეტჯერ, ვიდრე ამ ტურნირის ნებისმიერი სხვა მონაწილე) ახლა 10 ქულა აქვს და კვლავ ინარჩუნებს ჩემპიონობისათვის ბრძოლის შანსებს.

ჩიბურდანიძე, მას შემდეგ, რაც ბელავენეცოთან დამარცხდა, ხოლო ფატალიბეკოვს მოუგო, გრინფელდთან სათამაშოდ მიუჯდა დაფას. მას მინიმალური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ხანგრძლივი მანევრების შემდეგ პაიკი მოიგო და ახლა ლაზიერების ენდშპილში, ხელახლა გადადებულ პარტიაში აშკარად მოსაგები მდგომარეობა აქვს.

გაფრინდაშვილი ყაიმზე შეუთანხმდა კოზლოვსკაიას. სხვა შედეგები ასეთია: ვორონოვამ [illegible] გრინფელდს, მინოგენამ [illegible] კობაიძეს, სიმონოვამ — [illegible] ნას, პოპოვოდა-ახმილოვსკაია, ჭუბინეიკი-სემიონოვა, კობაიძე-სტუპინა ყაიმზე შეთანხმდნენ.

დებულების თანახმად-ტურნირში პირველ ხუთ ადგილზე გამოსული გაისად უმაღლეს ლიგაში რჩება. ოთხეულის დასახელება უკვე შეიძლება (ლევიტინა, ალექსანდრია, ჩიბურდანიძე, გაფრინდაშვილი) მაგრამ ვინ იქნება მეხუთე?

გუშინ გაიმართა მორიგი მეთხუთმეტე ტური.

ლევიტინამ მოუგო მინოგენას. გაფრინდაშვილი ყაიმზე შეუთანხმდა ვორონოვას, კობაიძე — ფატალიბეკოვას. გადადებულ პარტიებში ალექსანდრიას უპირატესობა აქვს სემიონოვასთან, პოპოვოდას — ჩიბურდანიძესთან.

15 ტურის შემდეგ 11,5 ქულით წინ არის ლევიტინა. ალექსანდრიას 10 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, გაფრინდაშვილს — 9,5 ქულა, ჩიბურდანიძეს 9 ქულა და 2 გადადებული პარტია.

ᲕᲐᲫᲗᲐ 47-Ე...

მეოთექვსმეტე ტურში გელერმა თეთრებით ყაიმით დაამთავრა ზხვედრა კუპრეიჩიკთან, 11 ქულა მოაგროვა და ჩემპიონობისათვის ბრძოლის საუკეთესო შესაძლებლობები აქვს. ბოლო ტურში მისი მეტოქე იქნება ბალაშოვი, რომელიც თვით არის საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი (9,5 ქულა).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იუსუპოვ-გიორგაძის შეხვედრას. გიორგაძეს [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...